საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. პარასკევი 18 ივლისი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 15[illegible]

# ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

გულდათუთქული მშობლები ეპრაქსია და ნიკიფორე სალუქვაძეები გამოუთქმელ მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ შაბათს 19 ივლისს (ახ. სტილით) ნახუტურის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათი ვაჟების: სტუდენტის

**ვალიკოსი** და გიმნაზიელ **გრიშას**

სულის მოსახსენებლათ, წირვა დაიწყება ჩვეულებრივ, პანაშვიდი კი დილის 12 საათიდან.

გულდამწვარნი ქეთევან გრიგოლის ასული და ალექსანდრე სოლომონის ძე თევზაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 12 ივლისს 11 საათზე იქნება გადახდილი ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი პირველის შვილის და მეუღლის, მეორის დის და მამის

**ნინა სოლომონის ასული თევზაძის** და **სოლომონ სვიმონის ძე თევზაძის**

პანაშვიდი იქნება გადახდილი ჯაფინაურის ეკლესიის გალავანში ქ. სურამში

ზაქარია (ქიქიკო) გრიგოლის ძე და ანნა დიმიტრის ასული ვარდანაშვილები, ელისაბედ გრიგოლის ასული და ნიკოლოზ როსტომის ძე მაღრაძეებს გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას, 20 ივლისს გადახდილი იქნება წლის წირვადა პანაშვიდი ქუთაისში გოჭოურის სასაფლაოზე პირველის საყვარელი შვილის და მეორეს ძმის შვილისა და ცოლის ძმის შვილისა გმირულად დაღუპულის საჩხერის ფრონტზე მე-8 კლასის მოწაფის ქუთაისის კლასიკური გიმნაზიისა

**შალვა ვარდანაშვილის.**

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ვასასია მოსეს ასული ჯუღელისა აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, 20 ივლის დღის 12 საათზე ს. სვირში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ძვირფასი სტ.

**ლონგინოზ (ქოლია) იაკობის ძე ჯუღელის**

სულის მოსახსენებლათ.

## რას გვიწყალობენ?

გაზეთებში გამოქვეყნებულია „რუსეთის მმართველის" ადმირალ კოლჩაკის პასუხი შეთანხმების სახელმწიფოთა მიმართ. მკითხველებს ეხსომებათ, რომ შეთანხმების სახელმწიფოებმა პირობით სცნეს კოლჩაკი „რუსეთის მმართველად"—თუ იგი დამაკმაყოფილებელ პასუხს მისცემდა იმის შესახებ, თუ როგორ ფიქრობს იგი მომავალ რუსეთის მოწყობას. ადმირალის პასუხი, მაშასადამე, წარმოადგენს მის პოლიტიკურ პროგრამას. ეს პროგრამა მრავალ მხრივ არის ჩვენთვის საინტერესო. ის წინაალმდეგობანი და ბუნდოვანი დებულებანი, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ამ პროგრამაში, იმის მაჩვენებელია, თუ რა სახეს მიიღებს კოლჩაკის ხელში ის „დემოკრატიზმი", რომლის განხორციელებასაც გვპირდება იგი სიტყვით. მაგრამ ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა პროგრამის ის ადგილები, რომლებიც შეეხება დანგრეულ რუსეთის იმპერიის ნიადაგზე აღმოცენებულ სახელმწიფოებს.

კოლჩაკის პროგრამა გულისხმობს, რომ მომავალ, მის მიერ აღდგენილ რუსეთის ტერიტორია ისევ წინანდელ საზღვრებში უნდა დარჩეს. მხოლოდ სრულიად რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს ამ ტერიტორიის ბედი. ადმირალი მზად არის დაეთანხმდეს პოლონეთის გამოცალკევებაზე, მხოლოდ „საბოლოო სანქცია საზღვრების შესახებ რუსეთსა და პოლონეთს შორის ეკუთვნის დამფუძნებელ კრებას". ადმირალი სიტყვით იმაზედაც თანახმაა, რომ ფინლიანდია გამოეყოს რუსეთს, მაგრამ „საბოლოო გადაჭრა ფინლიანდიის საკითხისა უნდა მიენდოს დამფუძნებელ კრებას".

ამავ უბრალო მეთოდით სჭრის ადმირალი კოლჩაკი ჩვენს საკითხსაც: სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს თქვენს ბედს, აი მისი მთელი პროგრამა ყველა ერთა შესახებ. მაგრამ ჩვენთვის კავკასიის ერებისთვის მას ბევრად უფრო ნაკლები ემეტება ვიდრე ფინლანდიისათვის და მით უმეტეს, პოლონეთისათვის. ცალკე სახელმწიფოების არსებობის შესაძლებლობა კავკასიაში ადმირალს ფიქრათაც არ მოსდის. მას ჩვენთვის ავტონომიაც სრულ საკმარისად მიაჩნია: „ჩვენი მთავრობა ამ თავითვე სცნობს სხვადასხვა ერთა ავტონომიას". და ეს წყალობა კოლჩაკს ისე დიდათ მიაჩნია, რომ დარწმუნებულია, ამის გაგონებაზე ეს „სხვადასხვა ერები" სიხარულით ფეხზე ველარ დადგებიან და მაშინვე მადლობით თანხმობას გამოუცხადებენ თავის გამაბედნიერებელ ადმირალს. „ჩვენ ყველა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, არწმუნებს იგი ევროპის სახელმწიფოებს, რომ ამ საკითხში (ლაპარაკია „ესტლანდიის, ლიტვის, ლატვიის კავკასიის და ამიერკავკასიის ერების" მოწყობაზე) მოხდება სწრაფი შეთანხმება". საბოლოო ამ ერთა ბედი, რა თქმა უნდა, სრულიად რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასჭრას. არც ერთი სიტყა „ერთა თვითგამორკვევის" უფლებაზე! აღიარებულია მხოლოდ რუსეთის თვითგამორკვევა კოლჩაკის მიერ მოწვეულ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების საშუალებით, და კრინტიც არ არის დაძრული ამის შესახებ, რომ სხვა ერმაც შეიძლება მოითხოვოს თავისთვის ისეთივე დამფუძნებელი კრება, როგორსაც რუსეთის. რუსეთს უფლება აქვს, სხვას კი არა!

ეს დამახასიათებელი თვისებაა ამ აზროვნებისა, რომელსაც იზიარებს მთელი ბურჟუაზიულ-რეაქციონური რუსეთი კოლჩაკ-დენიკინის მიმართულებისა. მკითხველებს ეხსომებათ კიდევ მეორე ამნაირივე ფაქტი, როდესაც დენიკინის წარმომადგენლებს ჩვენ მთავრობასთან მოლაპარაკება ჰქონდათ. მოლაპარაკების აუცილებელ პირობათ მათ ის წამოაყენეს, რომ კავკასიის ბედი მომავალმა სრულიად რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოსო.

კიდევ მესამე ამნაირივე ფაქტი: „დონის ჯარის წრის" (დონის სახელმწიფოს მთავრობის სახელია) დეკლარაციაში გამოცხადებულია შემდეგი: „დონის ჯარის წრე აღიარებს, რომ ეს უფლება თითონ გადასჭრას თავისი ბედი, შეადგენს რუსის ხალხის უდავო კუთვნილებას". და დეკლარაციის ავტორები არც კი დაფიქრებულან იმაზე, რომ ამნაირივე უფლება შეიძლება სხვა ერმაც მოითხოვოს. თქვენ ავტონომია, სხვა არა გინდათ-რა, აი დენიკინელების პასუხი არა-რუსთა მიმართ!

მაგრამ შეიძლება კი „რუსეთის აღმდგენელთა" მიერ ნაწყალობებ ავტონომიის მივენდოთ? ამაზე მივიღებთ პასუხს, როდესაც მათ „დემოკრატიზმს" გავუშინჯავთ კბილებს.

## საქართველო და მისი ბედი

XIV

**საქართველოს შეიარაღებული ძალები.**

დღევანდელ საშინელ ქარტეხილში, რომელიც დაატყდა თავზე მთელ კაცობრიობას ჯერ მსოფლიო ომის, მერე სოციალურ რევოლიციის სახით, თითოეული ერი, დიდი თუ პატარა სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა საჭიროებს შეიარაღებულ ძალებს. ვიდრე ჩადგება ეს ქარიშხალი, ჩამოვარდება ნამდვილი მშვიდობიანობა, ჩაქრება სამოქალაქო ომი, ვიდრე ხალხთა ლიგა შესისხლხორცდება, გადიქცევა ნამდვილ იმ ორგანოთ, რომელსაც ეკავება ხელში სადავე საერთაშორისო პოლიტიკისა, იქამდე ბედი ყოველ ერისა, კერძოთ საქართველოისა, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა სახით და რა სისტემით იქნება მოწყობილი მისი შეიარაღებული ძალები, რამდენად იჩენს ჯარი ბრძოლის უნარს, რამდენად სანდო და ერთგულ დარაჯობას გაუწევს იგი სახელმწიფოს. თუ სახელმწიფო არ არის უზრუნველყოფილი ამ ძალებით, თუ მისი ჯარი სუსტია, სამწყობრო ნაწილი არაა აგებული ერთგვარ სისტემაზე, თუ ჯარში არაა დისციპლინა, ასეთი სახელმწიფო ყოველთვის განიცდის საშიშროებას, ადვილად გახდება უბრალო ლუკმათ გარეშე მტრისა, სათამაშოთ და საჯიჯგნელათ რეაქციონურ ძალებისა.

ეს ყველაზე ადრე და კარგად შეიგნო საქართველოს რესპუბლიკამ, როდესაც დაინახა, რომ მისი რეგულიარული (მუდმივი) ჯარი, მოწამლული ბალშევიზმის შხამით და ნახევრად დაშლილი, არ გამოადგებოდა მას სახელმწიფოს არსებობის და დამოუკიდებლობის დაცვაში.

ამ გარემოებამ ერთის მხრივ და შინაური და გარეშე მტერთა მუქარამ მეორეს მხრივ, შეადგენინა საქართველოს სახალხო გვარდია. ამ სახალხო გვარდიაზე საქართველომ დაამყარა ჯერ-ჯერობით მთელი თავისი ბედი.

როდესაც გვარდიის საშუალებით საქართველოს დემოკრატიამ აიცდინა თავიდან სამოქალაქო ომი, ცოტად თუ ბევრად ჩამოაგდო შიგნით მშვიდობიანობა, მთავრობის ყურადღება იყო მიქცეული რეგულიარული ჯარის მოწყობისკენ.

მთავრობას კარგად ესმოდა, რომ რამდენადაც საქართველოში მშვიდობიანობა მყარდებოდა, რამდენადაც ფეხს იკიდებდა და მტკიცდებოდა დემოკრატიული წესწყობილება, იმდენად იბადებოდა მისდამი შური ზოგიერთ მეზობელთა შორის. ქართველ-სომხეთა ომმა აშკარად დაარწმუნა ამაში.

სახალხო გვარდია შეადგენს მოხალისეთა რაზმს, შეიარაღებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომლის მიზანს, მოვალეობას შეადგენს—დაცვა რევოლიუციის მონაპოვართა, ბრძოლა კონტრ-რევოლიუციასთან.

თუ მაინც და მაინც გვარდიას უხდებოდა და უხდება შესრულება არა პირდაპირ მისი მოვალეობისა, ესე იგი დაცვა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების გარეშე მტრისაგან, ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენი მუდმივი ჯარი ზემოთ ნაჩვენებ მიზეზების გამო გარეშე საფრთხის დროს არ წარმოადგენდა საკმარისად სანდო და მტკიცე ძალას. ამიტომ საჭიროა მოგვარება და გადახალისება ქართულ მუდმივი ჯარისა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მოთხოვნილებათა მიხედვით.

რაც აკლია გვარდიას უნდა შეივსოს რეგულიარული ჯარის დადებითი მხარეებით, აგრეთვე რაც აკლია რეგულიარულ ჯარს, უნდა დაემატოს გვარდიის სასარგებლო მხარეებიდან. თავის თავად იბადება საჭიროება შეიარაღებულ ძალთა ერთი სისტემის შექმნისა, რაც წარმოადგენს სამხედრო საქმეში იდეალს ყოველ სახელმწიფოსთვის.

სოციალდემოკრატიაც არის მომხრე შეიარაღებულ ძალთა ერთი სისტემისა, სახელდობრ დემოკრატიული მილიციის შექმნისა, როგორც მაგ. შვეიცარიაშია შემოღებული. სამხედრო ძალების სისტემით მოწყობისკენ უნდა იყოს მიმართული მთელი ყურადღება საქართველოს დემოკრატიისა, მხოლოდ დღევანდელი ჩვენი შინაური პირობებისა და საერთაშორისო მდგომარეობის მიხედვით ამ სისტემის დაუყონებლივ შემოღება ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია. არა საჭირო ვამტკიცოთ, რომ საქართველოში რევოლიუცია, ამ ღრმა და ფართო სიტყ[illegible] მნ[illegible]ვნელობით, ჯერ არ მისულა თავის [illegible]ოლიკურ დასკვნამდე, მაშასადამე ჯერ ისევ არსებობენ ის პირობები, რომლებმაც წა[illegible]ოშვეს ს[illegible] ალხო გვარდია. [illegible]რა კი არსებობ[illegible] ეს პირობე[illegible]ი, არსებობს ის მოვა[illegible]ეობაც, [illegible]ომელიც დააკისრა გვარდიას თვი[illegible] ცხოვრებამ.

რამდენათაც ცხოვრებ[illegible] ამ მოთხოვნილებას ვერ გააუქმებთ, იმდენათ ჯერ ვერ გაუქმდება, ვერ დაიშლება გვარდია, ურომლისოთ ერთ დღესაც ვერ იარსებებს დემოკრატიული რესპუბლიკა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ყავს ბევრი გარეშე მტრები. ვიდრე არსებობს ეს საფრთხე, ემუქრებიან ქართველ ხალხს უცხო სახელმწიფონი და არა სახელმწიფოებრივი (კოლჩაკ-დენიკინის ურდოები) ძალები, მანამდის აუცილებელია ყოლა მუდმივი ჯარისა.

გაუქმება მუდმივ ჯარისა ნიშნავს გარეშე ფრონტის, გახსნას, საქართველოს ჩავარდნას გარეშე მტერთა ხელში, რომე[illegible] შემორ[illegible]ტყმიან მას გარშემო.

ამ გვარად, მოწყობა დღეს შეიარაღებულ ძალების ერთი სისტემით, ნიშნავს გაუქმებას ან სახალხო გვარდიისას, ან მუდმივი ჯარისას, რასაც ვერ შეურიგდება დღევანდელი საქართველოს სინამდვილე.

უნდა იარსებონ როგორც გვარდიამ, ისე მუდმივმა ჯარმა, მხოლოდ ამ ორ ძალის დაახლოვება ერთი მეორესთან, რამდენიმეთ დაკავშირება, ზოგიერთ ნაწილებში ორგანიზაციულათაც მოწყობა, აუცილებელი და საჭიროა.

კ. კახელი.

## პრესა

„ჟოღვრდი ძაინშა" საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნებს უძღვნა სამი მოწინავე წერილი (№№ 148, 149, 150), რომლებშიც არჩევს ყველა უმთავრეს მიმდინარეობებს ეროვნული საბჭოს სარგებლობის თვალსაზრისით და, სხვათა შორის სწერს შემდეგს:

„როგორც ვიცით, საქართველოს სომხური ეროვნული საბჭოს როლი ტრიალებს კულტურულ ავტონომიის საკითხების ფარგლებში, რომელშიაც შედიან ეროვნული იდეის, ენის, სარწმუნოების, ეკლესიის და სხვა ამისთანა საკითხები.

„რომელი მიმდინარეობა დაიცავს ამას ყველაზე კარგათ? ყოველ შემთხვევაში, არ უნდა მიენდოს მათი დაცვა სოციალისტურ და რევოლიუციონურ დაშნაკცუთიუნის წარმომადგენლებს. სოციალისტები უფრო გააღრმავებენ ეროვნულ დამახინჯების საქმეს. „დაშნაკცუტიუნი" უფრო გააცალკევებს სომეხ ხალხს, როგორც ახლა განცალკავებულია ის დაშნაკელების აგრესიული პოლიტიკის წყალობით და ამიტომ არ შეიძლება დაშნაკელები მიენდოს სომეხთა ეროვნული საბჭოს საქართველოში. ეგ ნიშნავს წინათვე ჯვარის დასმას საქართველოს სომხების კულტურულ ავტონომიის საკითხზე. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არც ერთი სომეხი 20 ივლისს არ მისცემს თავის ხმას დაშნაკცუთიუნის პარტიას № 4-ის სიას.

ჩვენ ვეთანხმებით გაზეთს დაშნაკცუტიუნის დახასიათებაში. ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ დაშნაკცუტიუნი სიის გაყვანა უდრის იმ საქმის დასამარებას, რომლისათვისაც უნდა შესდგეს სომხების ნაციონალური საბჭო. მისი დანიშნულება—კულტურულ-ნაციონალურ საქმეების გაძღოლაში მდგომარეობს, ეს საქმეები კი რიგზე მხოლოდ იმ შემთხვევაში მოეწყობა, თუ სომეხთა ნაციონალურ საბჭოს გარშემო შეიქმნება ატმოსფერა მეზობელ ერთა შორის მეგობრობისა და ნდობისა, დაშნაკცუტიუნის პარტია კი. სადაც კი მას

# დ ღ ე ს

მოკავშირეები გერმანიას ბლოკადას ახსნიან, როგორც კი მიიღებენ დამტკიცებულ ხელშეკრულებას. ბლოკადის ახსნა არ გულისხმობს ყოველგვარი სავაჭრო შეზღუდვის მოსპობას.

ფიუმეში მოკავშირეთა სამი სამხედრო გემი გაიგზავნა.

საზავო ხელშეკრულების ძალით დასავლეთი ფრაკია ბულგარეთმა ოსმალეთს უნდა გადასცეს, რუმინიას უთმობს დობრუჯას.

ბალშევიკების ცნობით კანადაში დიდი მოძრაობაა.

შვეციის მეზღვაურთა გაფიცვა გაფიცულთა გამარჯვებით დამთავრდა.

ფინლიანდიაში ნავთსადგურის მუშათა გაფიცვები დაიწყო.

მეთაურობა ჩაუგდია ხელში, ყველგან ქმნის მეზობელ ერთა შორის შუღლს და მტრობას. ამ პირობებში ვერავითარი წესიერი კულტურული მუშაობა ვერ გახდება შესაძლებელი. მხოლოდ ჩვენ სასაცილოდ მიგვაჩნია, როდესაც „ჟოლ. ძაინ“-ი დაშნაკელებს „სოციალისდებად“ და რევოლიუციონერებად“ ნათლავს: „მაუზერისტები—აი ის სახელი, რომელიც უკვე მიღებულია დაშნაკელთათვის იმ წრეებში, რომლებიც ამ პარტიის მოღვაწეობასთან გაცნობილნი არიან. სოციალისტებთან და რევოლიუციონერებთან დაშნაკელებს საერთო იმდენივე აქვთ, რამდენიც თვით „ჟოლ. ძაინს“.

* * *

ეს ერთი ხანია „საქართველომ“ მოუხშირა წერას მენშევიკებზე.

დღე ისე არ გაივლის, რომ ამ გაზეთის თათქარიძეებმა თავიანთი დაჩლუნგებული კალმებით მენშევიკების წინააღმდეგ არ გამოილაშქრონ.

არავისთვის ახალი ამბავი არ არის, რომ გაზეთ „საქართველოს“ სოციალ-დემოკრატია არ მოსწონს. არც ოდესმე დადგება ისეთი დრო, როცა ნაციონალ-დემოკრატია შეურიგდება სოციალ-დემოკრატიას!..

მაგრამ ჩვენ გვსურს საქმე გვქონდეს პატიოსან მტერთან.

მტრის იარაღი კი, რომლითაც ის ჩვენზე მოდის, მხოლოდ ლანძღვა-გინებაა...

„მენშევიკების პარტიულ ლიტერატურას ყველაფერში ამჩნევია უნიჭობის შტამპი. მათ გაზეთს უცხოელები ხელმძღვანელობენ“.

ამას დასწერს ის ხალხი, რომელსაც მართლა არაფრის უნარი არ გააჩნია. გვაჩვენეთ თქვენი „ნიჭიერების შტამპი!“... სად არის ის,—რომელ კუთხეში, ან დარგში?

ქართველ ხალხის ბედნიერებას იმაში ხედავენ „საქართველო“-ს პურიშკევიჩები და მარკოვები, თუ ქართველი ხალხი მუდმივ ბრძოლაში იქნება საქართველოში მცხოვრებ სომხებთან, რუსებთან, ოსებთან და სხვა ერებთან.

არავითარი შეთანხმება ამ ერებთან!

ამიტომ არის, რომ ასე თავის მომაბეზრებლად იმეორებენ,—თქვენ გაზეთებს „უცხოელები ხელმძღვანელობენო“.

მენშევიკების წინააღმდეგ „საქართველოს“ შემდეგი საბუთი აქვს წამოყენებული:

გაზეთის აზრით—

„ცნობილია, რომ საქართველოში მენშევიკებს ნამდვილი ინტელიგენცია ოპოზიციაში უდგას“

„ნამდვილ ინტელიგენციათ, როგორც სჩანს მას მიაჩნია გაზეთ „საქართველოში“ მოკალათებული თათქარიძის შვილისშვილები და მათი მაჩანჩალა ორიოდე „ფუტურისტი“ რომლებიც კლუბებიდან თუ სხვა და სხვა ცეხებიდან პირდაპირ რედაქციაში მივლენ და ღამით მიღებულ „შთაბეჭდილებებს“ მენშევიკების ლანძღვა-გინებით დაამთავრებენ!..

ამ ჯურის ხალხს უწოდებს „საქართველო“ „ნამდვილ ინტელიგენციას“!..

## უკანასკნელი ცნობები

### სოჩი.

**რედაქტორის დაჭრა.**

ადგილობრივი გაზეთის „როდნოე სლოვოს“ რედაქტორს თავს დაესხნენ უცნობნი, დასჭრეს თავში და მხარში. დამნაშავენი აღმოჩნდენ ჯარისკაცები, რომლებიც უკვე შეიპყრეს.

### ბათუმი.

**აფეთქება ტრაპიზონში.**

10 ივლისს საღამოს ბათუმის ნავსადგურში სამხედრო გემებმა ტრაპიზონიდან ცნობა მიიღეს რადიოთი, რომ ნაშუადღევის სამ საათზე ტრაპიზონში დიდი აფეთქება მოხდაო. აფეთქებულა თოფის წამლისა და დინამიტის საწყობები. თუ რამდენათ ძლიერი იყო აფეთქება, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ბათუმში, რომელიც ტრაპიზონზე მოშორებულია 150 ვერსით, მოისმა დიდი ხმა და ხალხმა ჰაერის ძლიერი მოძრაობაც იგრძნო. ყველას ეგონა, რომ ძლიერი მიწის ძვრა იყო მომხდარი.

**გენ. რომანოვსკის წასვლა.**

გენ. რომანოვსკი თავისი ადიუტანტით რუსეთში წავიდა. გაზეთი „ნაშ კრაი“ „ბორბა“-ში გამოქვეყნებულ რომანოვსკის მოხსენებას სიჩუმით შეხვდა.

### ბაქო.

**ინგლისელები რჩებიან.**

გაზეთ „ადერბეიჯანის“ მიერ მიღებული სარწმუნო ცნობებით ინგლისელები კავკასიაში რჩებიან 15 აგვისტომდე.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

17 ივლისი.

### ბალშევიკების ცნობები.

**მოსკოვი.** ივლისის 16. **ნაუენი.** ივლისის 14. შვეციის მეზღვაურების გაფიცვა დასრულდა. მუშებმა 8 საათის სამუშაო დღე და ჯამაგირის მომატება მოიპოვეს. **მოსკოვი.** ივლისის 16. „ტაიმს“-ი კანადაში მომხდარ მოძრაობის შესახებ ცნობებს ათავსებს. ვინეპეგიდან გაზ. კორესპონდენტი იუწყება, რომ მოქალაქეთა „კომიტეტსა და გაფიცულთა ბელადებს შორის ბრძოლა მწვავდება. **ჰელსინგფორსი.** ივლის. 15. ნავთსადგურის მუშების გაფიცვა ულეაბორგის, იაკობშტატის, ვიბორგის და კონტკის გარდა ამბოხება ჰელსინგფორსსაც მოედო. დამქირავებლები შტრეიკბრეხერებს აგროვებენ. თავდაცვის რაზმებმა თავის თავზე მიიღეს შტრეიკბრეხერების დაცვა. **ლიონი.** ივლის. 15. ამერიკული რადიო იუწყება: ბერლინში ეხლანდელ მთავრობას მტკიცე ნიადაგი არ აქვს. **მოსკოვი.** ივლის. 16. ეკატერინბურგი—ციმბირის გზაა. კოლჩაკის ზურგში არეულობა ძლიერდება. ჩვენ ციმბირში ყოველ დღე წინ მივიწევთ. ციმბირი კოლჩაკისაგან უნდა გაიწმინდოს. ურალის მრეწველობას ჩვენ უკვე ვაწესრიგებთ. ურალის საბჭოთა ქარხნები მალე ამუშავდება: ჩვენ ციმბირის პური და კარაქი გვექნება საჭმელად. დენიკინის შიკრიკს მეფის ძველ თაგვს გენერალ გრიშინ-ალმაზოვს წერილი მიქონდა კოლჩაკთან. მათი გემი კასპიის ზღვაში ჩვენმა ნალმოსანმა ჩაიგდო ხელში. ამ წერილებიდან ნათლად სჩანს, რომ თეთრგვარდიელებს თავის ძალების იმედი არა აქვთ. დენიკინი სწერს კოლჩაკს: „მობილიზაცია ცუდად მიდის, ხალხი სრულიად არ მოდის, ჩვენი ზურგი იშლება, გავრცელებულია ლოთობა, კმაყოფილი არავინ არის, ჩვენ არ გვინდა, რომ ვინმემ იცოდეს, მეფეს, რესპუბლიკას, დიქტატურას თუ დამფუძნებელ კრებას ვუჭერთ მხარს. ჩვენ ჯერ-ჯერობით მოფერებით უნდა მოვექცეთ ხალხს“. უფის გუბერნიაში მაჰმადიანთა მცხოვრებნი რევოლიუციონურად არიან განწყობილნი. ბელებეის მაზრაში რამდენიმე დღეში 100 მოხალისემ მოიყარა თავი, რომელიც წითელ ჯარში ჩაეწერნენ. **კონოტოპი.** ივლისის 10. ღამით ლისკსა და ბახმაჩის შორის მატარებელი, რომელიც მოსკოვიდან კიევში მიდიოდა, დაზიანდა. მოღალატეებმა გზა გააფუჭეს. ორთქმავალი და ორი ვაგონი ლიანდაგიდან გადავარდა, დანარჩენი ვაგონები მოეხსნა და მგზავრებიანათ დაიწვა. რამდენიმე მგზავრი გადარჩა. მსხვერპლი დიდია. მუშებმა და გლეხებმა ბრბოებს დაუზოგავი ომი უნდა გამოუცხადონ და სრულიად გაანადგურონ. (მოსკოვის ცნობების მიღება ცუდი ამინდის გამო გაძნელებულია).

### ფრანგული პრესის ცნობები.

ბარონ ფონ ლესნერმა კლემანსოს 3 ნოტა გადასცა საზავო ხელშეკრულების შესახებ.

მთელი პრესა აღტაცებით შეხვდა გამარჯვების დღესასწაულს, რომელიც პრესის აზრით საფრანგეთის და მის მოკავშირეთა დიდი მომავლის მომასწავებელია.

### ინგლისური პრესის ცნობები.

მეფე კონსტანტინე ლიუცერნის ერთერთ სასტუმროში სცხოვრობს, მას იმედი აქვს, რომ ნოემბრის არჩევნებზე ის ტახტს დაიბრუნებს. ამერიკელ ჟურნალისტთან საუბრის დროს განაცხადა: „რა საკვირველია, მოსალოდნელია არჩევანი ჩემსა და ვენიზელოსის შორის“. კონფერენციის შემდეგ ვენიზელოსი პოპულიარული პიროვნება გახდა. შესაძლებელია, რომ არჩევნები კანონიერად არ მოხდეს.

ფიუმეში ამას წინად მომხდარ ამბების გამოძიების დანიშვნის გამო, გადასწყვიტეს იქ მოკავშირეთა 3 სამხედრო გემი გაიგზავნოს ინგლისის, საფრანგეთის. იტალიის გემები უკვე იქ არიან.

რეიტერის სააგენტოს ოფიციალურად აუწყეს რომ, როგორც კი პარიზში მიიღებენ გერმანიის მიერ საზავო ხელშეკრულებას რატიფიკაციის დამადასტურებელ საბუთებს მიიღებენ, მოკავშირენი დაუყონებლივ ახსნიან გერმანიას ბლოკადას. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი სავაჭრო შეზღუდვანი მოსპობილ იქნება.

პარიზიდან იუწყებიან: „ჟურნალ“-ი ამბობს, რომ საზავო ხელშეკრულების ძალით, ბულგარეთმა დასავლეთის ფრაკია ოსმალეთს უნდა დაუთმოს, ხოლო.. (გაუგებარია) სერბიას რუმინია უთმობს დობრუჯას, გარდა ხიდის სიმაგრისას. სოლისტრიაში... (გამოტოვებულია) ბულგარეთის წარმომადგენლები დაახლოვებით ივლისის 25 უნდა ჩამოვიდნენ ენგენში.

## ახალი ამბები

**დამფუძნებელი კრება.** დღეს შესდგება დამფუძნებელი კრების დახურული მორიგი სხდომა. გაირჩევა შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის კანონ-პროექტი და სენატის დებულებანი.

✦ **კომისარის დაპატიმრება.** ოთხშაბათს, 16 ივლისს, მილიციის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს მესამე უბნის კომისარი კ. კვესაძე, რომელსაც მექრთამეობა ბრალდება.

✦ **ადერბეიჯანის რესპუბლიკის** დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს პროტესტი განუცხადა „კავკაზსკოე სლოვო“-ს 21 და 22 ივნისის ნომერში მოთავსებულ ადერბეიჯანის რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ ცნობების შესახებ. ამასთან ის აცხადებს, რომ ის ოფიციალური ცნობები, რომელნიც ადერბეიჯანის დიპლომატიურ მისიის მიერ ეგზავნება პრესბიუროს, თფილისში გამოცემულ ყველა ბეჭდითი ორგანოებში არ იბეჭდება. ამის გამო, შინაგან საქმეთა სამინისტრო წრის ბიუროს საყურადღებოთ აცხადებს, რომ ყველა ცნობები, რომელნიც ეხება ჩვენთან მეგობრულათ განწყობილ სახელმწიფოებს, უნდა იქნეს შემოწმებული მის გამოქვეყნებამდე და ოფიციალური ცნობები მიწოდებული დიპლომატიურ წარმომადგენლის მიერ იბეჭდებოდეს ყველა ბეჭდითი ორგანოებში.

✦ 26 ივნისს, 1919 წ. ქალაქის პურის საცხობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა, რომ ყველას გადაეხადათ ხუთხუთი მანეთი სავალდებულოთ და, ზედმეტი სურვილისამებრ ბრძოლაში დაღუპულ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოთ დადგენილებისამებრ. პირველი პურის საცხობის მუშა-მოსამსახურეებმა—თხუთმეტმა კაცმა შემოსწირეს ორას ოცდახუთი მანეთი (225 მ.) კომისიის წევრი ს. კაშია. (რედაქციამ მიიღო ფული დანიშნულებისამებრ გადასაცემად).

✦ **ხეირნობა.** კვირას, 20 ივლისს ქალაქის შრომის ბირჟა მოაწყობს საბავშო დღესასწაულს (მადათოვის ქ. ბარიათინის შესახვევში) დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფი.** 14 ივლისიდან დროებითი ფოსტის განყოფილება გაიხსნა ბორჯომ-პარკში, რომელიც აგრეთვე იღებს დეპეშებსაც. 15 ივლისიდან ტელეგრაფის ოპერაციები გაიხსნა ნაქალაქევის (სენაკის მაზრა) ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში.

✦ **უფასო სჩაიეში,** რომელიც არსებობს შრომის ბირჟასთან ივნისის განმავლობაში მიუციათ ჩაი, შაქარი და პური უფასოდ 2586 უმუშევარისთვის, ხარჯები იყო ამ თვეში მიმდინარე ხარჯები 561 მან. 40 კ. მოსამსახურეებს 1940 მ. პური 455 მან. შაქარი—430 მ. 60 კ. ჩაი 275 მ. წვრილი ხარჯები 70 მ. სულ 5732 მ.

✦ **ყალბი ვექილობით ფულის მიღება.** თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსმა აცნობა სისხლის სამართლის მილიციის უფროსს, რომ ყალბი ვექილობით ბაქოდან მიღებული ფული—15,000 მან. ლევინის სახელზე და 20,000 მ. სემენოვის სახელზე, გაიტანეს ტრამვაიზე მოსამსახურე გერასიმე ი. უგრელიძემ (15,000 მ.) და ნესტორ დ. მჭედლოვმა—(20,000 მ.). სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია, რომ მჭედლოვი და უგრელიძე ტრამვაიზე არ მსახურებენ. ფულები კი გატანილია ყალბი საბუთებით თვით ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა აქტიური მონაწილეობით. ეჭვით შეიპყრეს ფოსტის მოხელე ტარასი იორდ. კიკვაძე და კონდრატე ალ. გუტერმანი, რომელნიც გადაეცა სასამართლოს.

✦ **მუქარის წერილი.** ანტონ ბედაშვილს მუშა საბრი-პირ-ოღლიმ მოუტანა ბინაზე (ანანიევის ქუჩა № 1) წერილი, რომელშიაც ვინმე ტიტიკო პულადრაშვილი მუქარით მოითხოვდა 25,000 მ., სისხლის სამართლის მილიციის მიერ მიღებულ ცნობებით შეიპყრეს ილ. მუნდრიშვილი, რომელსაც დაუმტკიცდა რომ ის იყო ამ წერილის ავტორი.

✦ **დათხოვნილი არიან სამსახურიდან** მთავრობის დადგენილების თანახმათ რკინის გზის ბათალიონის უფროსი პოლკოვნიკი ბაბუნაშვილი (პენსიით), სრულიად დათხოვნილია სამსახურიდან და სასამართლოს გადაეცა ინტენდანტი კაპიტანი ყანჩაველი, საქმის მწარმოებელი, მოხელე გორდელაძე, კვარტირმეისტერი, პოდპორუჩიკი სინაურიძე.

✦ **სასურსათო განყოფილებამ** შეისყიდა ახალი პარტია ფშენოსი და პერლოვის კრუპა. ფშენო და პერლოვის კრუპა მიეცემა ბინის კომიტეტებს, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებს იმ პირობით, რა პირობებშიაც ეძლევა საპონი, სამარხო ზეთი, მარილი, ჩაი ნახშირი და სხვა სურსათი. ფასი პერლოვის კრუპაზე დაწესებულია 260 მან. ფუთზე, ფშენოზე 300 მან. ფუთზე.

✦ **ლექცია.** დღეს სახალხო უნივერსიტეტის მერვე განყოფილებაში ავლაბარში (კახეთის მოედანი) საღ. 6 ს. დანიშნულია მორიგი ლექციები: 1) ექ. ტურიაშვილისა „გიგიენა“; 2) ეპ. ალშიბაიას „ელექტრობა და ორთქლის ძალა“.

### კ რ ე ბ ე ბ ი

დღეს, საღამოს 7 ს. თავის ბინაზე (19 თებერვლის ქუჩა, სახლი 9) დანიშნულია ჩუღურეთის მცირე კოლექტივის წევრთა საერთო კრება.

— 19 ივლისს, საღამოს 6 საათზე მუშათა კლუბის საზაფხულო შენობაში შესდგება თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მორიგი სხდომა.

— პარასკევს 18 ივლისს, საღამოს 4 ს. შესდგება კრება ოსების სოციალ-დემოკ. მუშათა პარტიის ორგანიზაციისა საქართველოში. სთხოვენ ყველა ამხანაგებს აუცილებლათ გამოცხადენ დანიშნულ დროს ტრამვაის პარკში.

— დღეს, საღამოს 5 ს. საბებიო ინსტიტუტში (ოლღას ქუჩა) დანიშნულია მეოთხე რაიონის ახ. მარქ. ორგანიზ. სამეცადინო ჯგუფის წევრთა კრება.

— კვირას, 20 ივლისს, დილის 9 ს. მე-3 ვაჟთა გიმნაზიაში შესდგება სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა დაბალი მოსამსახურეების კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

### გიორგი თუმანოვის შეურაცხყოფა

ამ სამი დღის წინად ერევნის მოედანზე მილიციონერმა მოქმედებით შეურაცხყოფა მიაყენა ჩვენში კარგათ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს გიორგი თუმანოვს. „კავ. სლ.“ გადმოცემით საქმე ასე ყოფილა: გ. მ. თუმანოვი შეხვდა ერევნის მოედანზე თავის ნაცნობს და სთხოვა მას დაეხურდავებინა ორი 40 მანეთიანი „კერენკა“. გიორგი თუმანოვის ნაცნობმა ვერც კი მოასწრო „კერენკების“ ხელში აღება, რომ მასთან მივიდა სადარაჯოზე მდგარი მილიციონერი და წინადადება მისცა როგორც გ. თუმანოვს ისე მის ნაცნობს გაჰყოლოდა კომისარიატში, ალბათ, თუმანოვი სპეკულიანტათ მიიღო. გ. თუმანოვს წინააღმდეგობა არ გაწევია ისე გაჰვვა მილიციონერს, მილიციონერს მოეჩვენა, რომ გ. თუმანოვი თითქმის ნელა მიდიოდა და დაუწყო მას თოფის დუმით ზურგში ცემა. ცემისაგან გ. თუმანოვი ქვაფენილზე დაეცა—თავიდან გადაუვარდა ქუდი და ფეხიდან წასძვრა ფეხსაცმელი. ხელის თითებიც გადაეყვლიფა და სისხლი დაედინა მილიციის მოქმედებით აღელვებული ხალხი შემოეხვია გ. თუმანოვს და აიყვანა ის ქვაფენილიდან საურთიეროთო ნდობის საზოგადოების ბანკში, სადაც მას შეუხვიეს ხელი.

მომხდარი სამწუხარო ინციდენტის გამო ერთმა მოქალაქემ შემდეგი ცნობა შემოიტანა ჩვენს რედაქციაში:

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ აღმაშფოთებელი საქციელისათვის მოძალადე მილიციონერი დაუყონებლივ პასუხისმგებლობაში იქნება მიცემული, ვუცხადებთ გულწრფელ მწუხარებას მოხუცს საზოგადო მოღვაწს და და იმედს გამოვთქვამთ, რომ იმ ფიზიკურ ტანჯვას, რომელიც მიაყენა მას ბნელმა კაცმა, იგი არ მიიჩნევს შეურაცხყოფად და პირად ღირსების დამამცირებელ საქციელად.

## ფრონტის დღისათვის

**საგანგებო მატარებელი.**

ფრონტის დღეს, შაბათს, 19 ივლისს დილით 8—9 საათზე ინიშნება საგანგებო სადღესასწაულო მატარებლები საუცხოვოთ

მორთული, ბუფეტით, მუსიკით ბათუმისკენ—ფოთში შევლით და ბაქოსკენ.

ბილეთების ფასები ჩვეულებრივია. იქნება სამივე კლასის ვაგონები. მატარებელი გაჩერდება ბაქოში 6 საათს, ბათუმში 5 საათს, ფოთში 3 საათს და დაბრუნდება თფილისისკენ.

ბაქო, ბათუმ, ქუთაის, განჯა, ფოთში წამსვლელებო! ისარგებლეთ შემთხვევით სასიამოვნო მგზავრობა იქნება და შემოსავალი კი ფრონტს მოეხმარება. ადგილები განსაზღვრულია. ბილეთები იყიდება თფ. სადგურზე ბაგაჟის კასაში დილის 10 ს. 2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბათუმამდე ბილეთის ამღებნი ფოთში შევლისათვის დასამატს არ გადაიხდიან. ვაგონები იქნება საგანგებო დაწმენდილ-დასუფთავებული.

პლაცკარტი, ბუფეტი, მუსიკა, თამაში, სიცილი, მხიარულება—ასეთი მატარებელი ჩვენში პირველია.

**პირველი რაიონის კომისია.**

**მთავარ კომიტეტში.**

დღეს, დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდის მთავარ კომიტეტის სადგომში (არაფელოვის სახლი, რუსთველის ქუჩა № 24) დარიგდება ყულაბები და ნიშნები შემოწირულების შემკრიბთათვის. უნდა გამოცხადდენ ყველა რაიონის წარმომადგენელნი, აგრეთვე სასურველია გამოცხადდებოდნენ მსურველნიც, რომელთა შეუძლიათ ფულის შეკრება. შაბათს არავის არ მიეცემა ყულაბები.

სასურველია, რომ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებმა სამსახურიდან გაანთავისუფლონ ერთი დღით ის პირნი, რომელნიც საქმეში იქნებიან ჩაბმულნი ფრონტის დღის მოწყობაში. ნუ დაივიწყებთ ფრონტს. უკვე მოახლოვდა დანიშნული დღეები და მომუშავენი გვესაჭიროვება. გთხოვთ ყველანი ვისაც სურს მუშაობა, გამოცხადდეს.

**შ ე წ ი რ უ ლ ე ბ ა ნ ი.**

ყოველგვარი შემოწირულება ნივთებით, ფულით ან მათი გადმოგზავნა შეიძლება მთავარ კომიტეტის ცენტრალურ სადგომში (რუსთველი ქუჩა, სახლი № 24 არაფელოვისა), სადაც დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე ყოველდღე მორიგეობენ კომიტეტის წევრები. ისწრაფეთ შეასრულოთ თქვენი მოქალაქობრივი მოვალეობა და ვის რითაც შეუძლიანთ დაეხმარეთ ჩვენს დამცველთ.

**მუსიკა ფრონტის დღისათვის**

თფილისში მცხოვრებ მომღერალ დამკვრელთა უმრავლესობამ უკვე სურვილი განაცხადა ფრონტის დღის საზეიმო გახსნაში მონაწილეობა მიიღოს სრულიად უსასყიდლოდ, ერთგვარი წესრიგისათვის გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ სამუსიკო ანსამბლი უნდა შეიკრიბოს 19 ამ თვეს, დილის 8 საათზე სახელმწიფო თეატრთან, საიდანაც იგი მწყობრად გაემართება თავისუფლების მოედნისაკენ. კერძო გუნდების და ორკესტრების ხელმძღვანელთ, რომელნიც ჯერ არ ჩაწერილან, სთხოვენ წინდაწინვე განაცხადონ სახელმწიფო თეატრში თავიანთ ამსრულებელთა რაოდენობა.

## ინგუშები და მოხალისეთა ჯარი

ინგუშების წარმომადგენელმა მოკავშირეთა მისიებს თფილისში მიართვა მემორანდუმი, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ყველა იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომელიც მოხალისეებმა წარმოგვიდგინეს, სავსებით გაანადგურებდა ინგუშეთს, მაგრამ არც ასეთი სრული მორჩილების გაგამოცხადება უზრუნველყოფდა ინგუშეთის ხალხის ფიზიკურ არსებობას. პირიქით, ყაზახები, რომელნიც შურის ძიებით არიან ინგუშებისადმი გამსჭვალულნი (სუნჟენი რაიონიდან რამდენიმე ყაზახთა სტანიცის გადასახლების გამო) ადვილათ განახორციელებდნენ თავიან აგრესიულ მიზნებს განიარაღებულ ინგუშეთის მიმართ.

უნდა იქონიოთ მხედველობაში სუნჟინის, ტარსკის და აკიურტოვსკის სტანიცები ორ ნაწილად ჰყოფენ ინგუშეთს: მთიანი და ვაკე. საჭირო იყო ცოტაოდენი გართულება მთიელ ინგუშების და ყაზახებს შორის დამოკიდებულებისა, რომ ინგუშები გამომწყვდეულიყვნენ ხეობაში და შიმშილით ამოწყვეტის საფრთხის წინაშე დამდგარიყვნენ, რადგანაც ინგუშების ხსენებულ ნაწილს თავისი პური წლის განმავლობაში მხოლოდ ერთ თვეს ყოფნის. ამიტომ, სრულიად ბუნებრივად, როდესაც რევოლიუცია დაიწყო, ინგუშებმა ისარგებლეს შესაფერი მდგომარეობით და გადაწყვიტეს ინგუშებთან შემოეერთებინათ მათ ტერიტორიაში სოლივით შეჭრილი ყაზახების მიწები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიწები უხსოვარ დროიდან ეკუთვნოდა ინგუშეთს, მხოლოდ ის გადასცა რუსეთის მთავრობამ ყაზახებს წმინდა სტრატეგიული მოსაზრებით. ინგუშების ამგვარმა მოქმედებამ მეტად გააჯავრა ყაზახები, რომლებმაც თავიანთი ჯავრი და შურისძიება გადადვეს შესაფერ დროისათვის.

და ჩვენ, ინგუშეთის წარმომადგენელთ გვსურს სამართლიანობა იქნას აღდგენილი, ჩვენ გვინდა ამ საკითხის გადაჭრაში მონაწილეობა მიიღოს მესამე ნეიტრალურმა ძალამ.

დეე, მოკავშირეთა წარმომადგენლებმა გამოყონ თავიანთ შორის ორგანო, რომელიც თავის თავზე აიღებს ინგუშეთის და მოხალისეთა შორის ჩამოვარდნილ დავის გადაწყვეტას.

ჩვენ გვწამს, რომ მხოლოდ ამ გზით, ცივილიზაციის და კაცთ-მოყვარეობის სახელით შეიძლება დამსხვრევა ინგუშების მტერთა მხეცური და თავხედური გეგმისა. საჭიროა მოხალისეებმა სამხედრო მოქმედება დაუყონებლივ შეაჩერონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ინგუშეთის ხალხს მოელის სრულიად ამოჟლეტა.

# ზევსური

1.

რა წამს მზე აღმობრწყინდება
მოკრიალებულ ცაზედა
და ოქროს სხივთა ლეჩაქი
გადაიშლება მთაზედა,—
მყის გული ამიმღერდება
ბუნების სილამაზედა!

2.

აი, დაჰბერა ნიავმა,
ტყემ ნაზად დაიშრიალა,
დაირაკრაკა ტოროლამ,
ბულბულმაც შეიფთხრიალა,
ამღერდა ცა და ხმელეთი,
აჟღერდა ჩანგი წკრიალა!

3.

ღმერთო რა სანახავია,
რა ტკბილი გასაგონია;
ძმობამა, ჩემზე მდიდარი
ქვეყნათ არავინ მგონია!

**გ. ქუჩიშვილი.**

## ნარდათ თუ დღიურათ?

(საუბარი მუშებთან).

დილის 9 საათია. რკინის გზის მთავარ სახელოსნოში გაისმა საყვირის ხმა. საუზმის დროა და მუშებიც მიისწრაფიან ზოგი ეზოში, ზოგი იქვე კუთხეში, რომ ნახევარ საათში მოასწრონ შენაყრება და დასვენება. ხსნიან ფერად თავშლებში გამოკრულ საუზმეს, მოაქვთ ჩაიდნებით ცხელი ჩაი, სხდებიან ხეებ ქვეშ ჩრდილოში და ნელ-ნელა ბაასით შეექცევიან პურს, ან მჭადს. შაქარი აღარავის მოეპოვება, ზოგი სვამს ქიშმიშით, უმეტესობას კი არც ესა აქვს. ზოგიერთებს ყველი ან ხმელი თევზი უმშვენებს წითელ თავშალს, ბევრნი კი ამასაც მოკლებულნი არიან და მწვანე ხახვით ატყუებენ დამშეულ კუჭს.

მეც იქავე ჩამოვჯექ კუნძზე და ვესაუბრები ჩემს მექვაბეებს. მსჯელობენ საჭირბოროტო კითხვაზე, რომელიც დღევანდელმა დღემ მწვავედ წამოაყენა წესრიგში. როგორ უნდა სწარმოებდეს მუშაობა რკინის გზაზე? ნარდათ, თუ დღიურად? რევოლიუციის შემდეგ ნარდათ მუშაობა მოისპო. ეხლა მუშას ეძლევა გადაჭრილი ჯამაგირი, უწინ კი იღებდა იმდენს, რამდენსაც დაიმუშავებდა ნამდვილად. დღეს იმდენად დაეცა შრომის წარმოება, რომ თვით ცხოვრებამ დასვა ეს საკითხი დღიურ წესრიგში. საჭიროა გადაჭრილი პასუხი. მაგრამ ყური დავუგდოთ თვით მუშებს.

ნარდათ მუშაობის მოსპობა რევოლიუციითაა მოპოვებული,—ამობს შუახნის მუშა,—და ჩვენ ამ სისხლით მონაპოვარს ნებით არ დავთმობთ. დეე, ძალით გვამუშაონ ნარდათ. ვნახოთ, რა გამოვა?

— დაიცა, მიხა!—ვაჩერებ მე.—ნუ ცხარობ ძალა თქვენ ხელთ არის და აბა ძალადობაზე ლაპარაკი რა საჭიროა? საქმე ძალაში კი არ არის, სამართლიანობაშია. შენ ეს მითხარ, რატომ ხარ ნარდათ მუშაობის წინააღმდეგი?

— რატომა?—ჩაეცინა მიხას და სხვებსაც.—ამის პასუხი ჩემზე უწინ მარქსმა მოგცათ. განა ის არ იყო წინააღმდეგი ნარდათ მუშაობისა? როცა მუშა ნარდათ მუშაობს, მუდამ იმის ცდაშია, რაც შეიძლება მეტი გააკეთოს ის ამით სუსტდება, უძლურდება, ფულებს კი მეტს იღებს, მაგრამ თავსაც ზედ აკლავს. თუ კი მუშაობას ზედ გადავაკვდები, მაშინ ფულები რაღას მიშველის? ეგრე არ არის, ამხანაგებო?—მიმართა მან სხვებს, რომლებმაც დაადასტურეს იმის ნათქვამი.

— რაც შეეხება მარქსს,—ვუპასუხებ მე,—ის ამას ღაღადებდა მაშინ, როდესაც მუშათა კლასს არ მოეპოვებოდა თავის გულშემატკივარი პროფესიონალური კავშირები. მაშინ „ხაზეინები“ ისე ატრიალებდნენ საქმეს, როგორც მათი ჯიბეებისთვის იყო სასარგებლო. ეხლა პირობები შეიცვალა. თქვენ ინტერესებს იცავთ თითონ თქვენი კავშირების შემწეობით. სამუშაო დღე 8 საათით არის განსაზღვრული და, აბა, ერთი მითხარი, ამგვარ პირობებში რა სათქმელია,—ვითომ თავს შეაკლავ მუშაობას? განა 8 საათი რომ მუყაითად ვიმუშავოთ, ამით დავუძლურდებით ფიზიკურათ? ან მე, თქვენი უფროსი, განა „ხაზეინი“ ვარ, რომ თავი შეგაკვლევინოთ მუშაობას? გინდაც გამოჩნდეს ამისთანა ვინმე, იმას ორგანიზაცია უჩვენებს სწორ გზას. მე ასე მგონია, რომ მცოდნე და გამრჯე ხელოსანი ყოველთვის მზად არის ნარდათ მუშაობაზე. მხოლოდ ზარმაც და ფინაჩებისთვის არის ნარდათ მუშაობა უკუსაგდები. ის მაშინ იძულებული გახდება ცუღლუტობას თავი გაანებოს და საქმეს მუყაითად მოჰკიდოს ხელი, ეს კი მას ეზარება. აი რატომ ამჯობინებს ის დღიურათ მუშაობას, როდესაც შეუძლიან გადაჭრილი ჯამაგირი მიიღოს იმისდა მიუხედავათ, დაიმსახურა მან ეს თავისი ნამუშავარით, თუ არა. ჯერ კიდევ ბევრია ჩვენში შეუგნებელი, რომელიც თავის ცუღლუტობით შესამჩნევათ ამცირებს შრომის ნაყოფიერებას, ზიანს აყენებს სახელმწიფოს და თავის თავსაც. ეხლა ჩვენ ამათი გამოისობით 3 დღის სამუშაოს 4 დღეს ვანდომებთ. წელიწადში ამ რიგად სახელმწიფოს ეკარგება 75 დღე. თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ, 75 დღე! აი, სხვათა შორის, რატომ გაძვირდა ასე საზღაპროთ ცხოვრება, რომ აღარც პურის ფული გვყოფნის, აღარც ტანთსაცმელისა. ოჯახობა შიმშილით გვიჭყავის, თითონაც ისე დავსუსტდით, დავუძლურდით, რომ უბრალო ავადმყოფობაც კი ადვილათ გვერევა და წუთისოფელს გვასალმებს. ამაზე მეტი უბედურობა ლა წარმოსადგენია! კმარა, ამხანაგებო; ამდენი დუხჭირი და გაჭირვება. რამდენსაც დავიმუშავებთ, იმდენი მივიღოთ ავწიოთ შრომის ნაყოფიერება და ამით დავწიოთ საქონლის და სანოვაგის ფასები. ჩვენ თავს თითონვე ვუშველოთ, თორემ, ხომ ხედავთ, რომ ჯამაგირების მომატებით ჩვენი მდგომარეობა კი არ უმჯობესდება, უფრო უარესდება. ჩვენ რომ ჯამაგირებს ორჯელ მოგვიმატებენ, ბაზარში იმ წამსვე სამჯერ გააძვირებენ ყველაფერს. გაგვგონებათ, რომ ტყვიბულაში ნარდათ მუშაობის შემოღებით 75 პროცენტით აწიეს შრომის ნაყოფიერება. რკინის გზაზედაც შესამჩნევათ გავაუმჯობესებთ საქმეს, ოღონდ მოვინდომოთ. მაშინ გაუმჯობესდება ჩვენი მდგომარეობაც. იზარალებენ მხოლოდ ზარმაცნი.

**ინჟ. ერ. ლუკაშვილი.**

## უცხოეთი

**პროპორციონალური არჩევნები ინგლისში.**

პროპორციონალური სისტემის შემოღებისათვის მოძრაობა თანდათან იზრდება. ლორდთა პალატაშიც შეტანილ იქნა ამ საკითხის შესახებ სათანადო წინადადება. ამ სისტემია შემოღების სასარგებლოდ დადგენილება გამოიტანა ტრედ-უნიონისტების კონგრესმა და მრავალმა მუნიციპალიტეტებმა.

**ნოსკეს სიტყვა.**

ნოსკემ სოც. დემ. პარტიის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და გააცნო დამსწრეთ თავისი პოზიცია. მე არასოდეს არ ვიყავ მონატრული ძალა-უფლების და ის არავითარ პირად სიამოვნებასაც არ მანიჭებს. მე მესმის შიში მუშების — მაგრამ მათ მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ რევოლიუციის ნაყოფი არ შეიძლება ორ კვირაში მოიგოს. ეკონომიურ რეფორმების გატარება არც ასე ადვილია, მას დიდი და ხანგრძლივი მუშაობა დასჭირდება. გერმანია დიდ კრიზისს განიცდის. მხოლოდ დემაგოგებს შეუძლიანთ ავრცელონ მუშებში ის აზრი, რომ საჭიროა ეხლავე შემსუბუქდეს შრომის პირობები და ხელფასი მოემატოთ მუშებს.

**ორლანდოს გადადგომა**

ამავე გაზეთში დაწვრილებით არის მოყვანილი ცნობები ორლანდოს გადადგომის შესახებ. იტალიის ფიუმეს საკითხში დამარცხებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მმართველ წრეებში უმრავლესობა სენატის და პალატის დარწმუნებულია, რომ კონფერენციაზე სათანადოთ არ იქნა დაცული იტალიის ინტერესები და ამაში ბრალს სდებენ იტალიის დელეგაციას.

იტალიის საზოგადოებრივი აზრიც დარწმუნებულია, რომ ფიუმეს შესახებ სიმართლე იტალიის მხარეზე იყო. ეგონათ, რომ ჯიოლიტის მომხრეები მხარს დაუჭერდენ ორლანდოს, მაგრამ ეს არ გამართლდა. იტალიაში ნაციონალისტურ მიდრეკილებას ფართო ასპარეზი გაეხსნა. კომბატანტების ლიგის გავლენა ძლიერ დიდია. ლიგის უკიდურესი ელემენტები მოითხოვენ [illegible] მოწვევას; ამ ლიგის მიზანია—აიძულოს მთავრობა საგარეო საქმეებში [illegible] პოლიტიკა აწარმოვოს და ყოველივე საშუალებით შეებრძოლონ სოციალისტებს.

19 ივნისის სხდომაზე პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვა ორლანდომ, მას დეპუტატები მტრულათ შეხვდენ და არც დააცალეს სიტყვა დაემთავრებინა. სოციალისტები ძლიერ ხმაურობდენ ორლანდო მიუბრუნდა მათ და უთხრა: „შემიბრალეთ მაინც“. სოციალისტები მაინც განაგრძობდენ ხმაურობას, მემარჯვენეებიც ხელს უშლიდენ ორლანდოს ლაპარაკს, მხოლოდ ცენტრი და ჯიოლეტის მომხრეები იყვენ ჩუმათ. ხმაურობაში ორლანდოს უკანასკნელი სიტყვა სრულიადაც არ ისმოდა და ისე დაასრულა მან თავის სიტყვა, რომ არც ერთმა დეპუტატმა ტაში არ დაუკრა. პარლამენტმა მოისმინა რა განცხადება ორლანდოს მთავრობის გადადგომის შესახებ, გადავიდა მორიგ საკითხებზე. დღის წესრიგში იყო საარჩევნო რეფორმა. დეპუტატმა ტურატიმ განაცხადა, რომ ეს კითხვა მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ მთავრობა არ გვყავს, უნდა დღესვე გადავწყვიტოთო. აღიძრა კითხვა—შეუძლიან თუ არა საკანონმდებლო ორგანოს უმთავრობოთ მოქმედება. ხმის უმეტესობით ეს კითხვა დადებით გადაწყდა. დეპუტატი ჩიეზა მოითხოვდა პარლამენტის დამფუძნებელ კრებათ გამოცხადებას. ირლანდოს გადადგომის შემდეგ მეფემ მიიხმო პალატის და სენატის თავმჯდომარეები. ინახულეს მეფე აგრეთვე ლუცატმა, ნიტიმ და ბარზილიმ.

## ს.-დ. პარტიაში

**ჭიათურა.** 13 ივლისს შესდგა ჭიათურის რაიონის საქ. ს. დ. მ. პარტიის ყრილობა. დღის წეს-რიგი იყო: 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) პარტიული მუშაობა, 3) მოხსენება მომენტზე, 5) წარმომადგენლების არჩევა ჭიათურის კომიტეტში.

ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. პლატონ მონებაძე და მდივნათ ვ. კაპანაძე. მოხსენებები გააკეთეს პერევისიდან ს. წერეთელმა, წირქვალიდან—ნიკო გაფრინდაშვილმა, ხრეითიდან—დ. შეგოლაძემ, ქვაციხიდან—კ. მოდებაძემ, ჯვარეწერიდან—ი. ბრეგვაძემ, რგონიდან—ს. ხვედელიძემ, შუქრუთიდან—ბ. კაკაბაძემ და ვაქევიდან—კ. ცერცვაძემ. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ პარტიული მუშაობა სოფლად სწარმოებს, მხოლოდ საჭიროა იდეური ხელმძღვანელების გამრავლება, ხალხი ნდობით ეპყრობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

პარტიულ მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. სიხარულიძე.

ის სხვათა შორის ამბობს, რომ მერვე ყრილობის დადგენილებით ცენტრი უნდა იყოს მხოლოდ მაზრა, მაგრამ ჭიათურა განსაკუთრებულ პირობებში არის, როგორც გეოგრაფიულად ისე ეკონომიურად, ამიტომ სამაზრო ყრილობამ მას ნება მისცა შეექმნა ავტონომიური კომიტეტიო. შემდეგ ეხება იდეურ მუშაობას და ამბობს, რომ საჭიროა მოეწყოს სოფლად ლექციები, საუბრები, რეფერატები და სხვა. აგრეთვე ეხება პარტიის ფინანსიურ მდგომარეობას და მოითხოვს, რომ სოფლის კოლექტივებმა დროზე შემოიტანონ საწევრო გადასახადიო. ლაპარაკობენ ამხ. გრ. ფხალაძე და გ. ანთელიძე, რომლებიც მოითხოვენ, რათა კოლექტივები არ ჩაერიონ ადმინისტრაციის საქმეებში და გაორკეცებით იმუშაონ პარტიულ საქმეზე. ყრილობამ მიიღო ყველა ესენი მხედველობაში და გადავიდა მორიგ კითხვაზე.

მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ანთელიძე, შეკითხვებზე პასუხს აძლევს პლ. მოდებაძე.

გაზეთის გავრცელებაზე მოხსენებას უკეთებს ამხ. გრ. ფხალაძე რის შემდეგ კრება ადგენს, რომ ყველა პარტიულმა ერთეულებმა გამოიწერონ პარტიული გაზეთები და აგრეთვე ხელი შეუწყონ სოფლად გავრცელებას.

მე ხუთე საკითხზე კრება ადგენს, რომ ყველა კოლექტივებმა გამოგზავნონ ჭიათურის კომიტეტის სხდომაზე თითო წარმომადგენელი, რომ უფრო მჭიდრო კავშირი გააბას ცენტრს და პერიფერიებს შორის.

**ახალჩამოსული.**

## მუშათა შორის

**ოზურგეთი.** „გურიის მუშათა ასოციაციის“ წევრთა საზოგადო წლიური კრება. გამგეობის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. ლ. ჩავლეშვილმა. მოლარე ნ. სალიქვაძემ გააცნო კრებას ანგარიშები 1 წლის შემოსავალ-გასავლი-

სა. სარევიზიო კომისიის სახელით ილაპარაკა ამხ. ვ. ჩხაიძემ, რომელმაც სთქვა, რომ სარევიზიო კომისია გამგეობის მუშაობას დამაკმაყოფილებლათ სცნობსო. კრებამ გამგეობის ერთი წლის მუშაობა ყოველ მხრივ დამაკმაყოფილებლათ სცნო. წევრის მიღება-გარიცხვაზე, მიღებულ იქნა გამგეობის რეზოლიუცია: „მუშათა ასოციაციის წევრათ მიიღება ისეთი პირი, რომელიც წარმოადგენს გამგეობის მოწმობას, რომ ის მუშაობდა (წევრათ ითვლებოდა) პროფესიონალურ კავშირში, რომელიც მოწმობას ვერ წარმოუდგენს მიიღება ორი ან სამი წევრის თავდებობით, ან თვით გამგეობა მიიღებს. წევრი, რომელიც თავისი მოქმედებით ჩირქს სცხებს „ასოციაციას", გარიცხულ იქნას წევრობიდან. გამგეობას ეძლევა უფლება, ისეთი წევრი, რომელიც არ არის დაქირავებული, გარიცხოს. „გურიის მუშათა ასოციაციის" კონფერენციაზე დელეგატებათ არჩეულ იქნენ: გ. კოპლატაძე, ი. გორგოშიძე, ვ. კალანდარიშვილი, ი. ჩავლეშვილი, ვ. ჭეიშვილი და ს. მენაბდე. მუშათა სეკრეტარიატის შესახებ დადგენილ იქნა: მომავალ კონფერენციაზე დელეგატებს დაევალოს სეკრეტარიატის შესახებ საკითხის დაყენება და მისი არჩევა. მოხდა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები. არჩეულ იქნენ გამგეობაში ლ. ჩავლეშვილი, ფ. იმედაიშვილი, ნინა სალუქვაძე, ს. გოგუაძე, მ. წულაძე და ვ. ჭეიშვილი. კანდიდატებათ: გ. კ—ძე და ს. მენაბდე. სარევიზიო კომისიაში: ვ ჩხაიძე, გ. ლომთათიძე და მარო სალუქვაძე. კანდიდატებათ: ლოლა სალუქვაძე. „გურიის მუშათა ასოციაცია" ეს გურიის ყველა პროფესიის მუშათა შემაერთებელი ორგანიზაცია, რომლის მიზანია წევრთა მდგომარეობის გაუმჯობესება: როგორც ეკონომიურათ, ისე კულტურულათ. ამისათვის „ასოციაციის" გამგეობა აარსებს „შრომის ბირჟებს" პარიტეტულ საფუძველზე, რომლების მოვალეობა იქნება უმუშევართათვის სამუშაოს აღმოჩენა და დამქირავებელთათვის მუშა ხელის მიწოდება. „შრომის ბირჟა" ახდენს უმუშევართა სრულ რეგისტრაციას პროფესიისდა მიხედვით. ვალდებულია ყველა დაქირავებული (გარდა იმ პირებისა, რომელნიც ასრულებენ დაწესებულებაში ადმინისტრატიულ სამსახურს) მომუშავე ჩაეწეროს „მუშათა ასოციაციაში წევრათ და თუ ის უმუშევარია რეგისტრაციაში თავის პროფესიაზე. ყველა დამქირავებლები ვალდებულია მიმართონ „მუშათა ასოციაციის" გამგეობას მუშის დაქირავების დროს და კერძო რეკომენდაცია-პროტექციით არავინ მიიღონ, ვინაიდან „მუშათა ასოციაცია" „შრომის ბირჟის" საშუალებით აწარმოებს სასტიკ და სამართლიან რიგს სამუშაოს განაწილებაში. ეს „მუშათა ასოციაცია" ჯერ ნორჩია. მაგრამ გამგეობის ენერგიული მუშაობით. მან საზოგადოების მიერ საგრძნობი ყურადღება დაიმსახურა.

მუშა ბარიკადა.

# პროვინცია

## დუშეთის მაზრაში

ყველას ახსოვს, თუ როგორ ძვირად დაუჯდა საქართველოს დუშეთის მაზრის მცხოვრებთა ნაწილის გაბოლშევიკება და აჯანყება, რომლის ჩაქრობას ჩვენმა ხალხმა მრავალი მსხვერპლი შესწირა. დუშეთი დროებით დაწყნარდა, ვფიქრობდით, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგებაო, მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი არ გვიმართლდება. აჯანყებამ მასსიური ხასიათი თუმცაღა დაჰკარგა, მაგრამ დღევანდლამდე შეინარჩუნა პარტიზანული ხასიათი.

გარეწარი ელემენტები არა სცნობენ ჩვენს მთავრობას, არც ეშინიათ.

ადგილობრივი ადმინისტრაციის უმოქმედობის წყალობით მაზრა ყაჩაღებით გაივსო, რომლებიც იქაურობას ისე იკლებენ, რომ მშვენიერი კუთხე ლამის ჯოჯოხეთს დაემსგავსოს. ყაჩაღობა ეს სამარცხვინო დაღია ჩვენი ნორჩი სახელმწიფოსთვის, რომელსაც სახელი უტყდება შინაურებისა და უცხოელების თვალშიაც. ამიტომ ყაჩაღებთან ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი, თორემ ანარქიის მორევი ჩანსთქავს ჩვენს ქვეყანას, და მერე გვიან იქნება.

ყაჩაღობასთან ბრძოლას უნდა იდეური და ენერგიული ადმინისტრატორები და არა ისეთები, რომლებიც შიშით გარეთ ვერ გამოსულან.

საქართველოს სამხედრო გზაზე შიშით კაცს ვერ გაევლება, ძნელად გადარჩება კაცი რომ ან არ მოკლან და ან არ გაძარცვონ. მაგალითად, ამ დღეებში მოჰკლეს ლეო ჩუბინაშვილი. გაზეთებში ცნობა იყო, რომ დაბა ახალგორს დასცემიან ყაჩაღთა ბრბო რიცხვით 30 კაცი და გაუნადგურებიათო- სად არის მილიცია, სად არის გვარდია, რას აკეთებს ერობა? ამ ორი კვირის წინად იმავე მძარცველთა ჯგუფს ს. თვალივში (დუშეთიდან 20 ვერ. მანძილზე) გ. შანიძის მაღაზია ისე გაუძარცვავთ, რომ წამლადაც არა გაუშვიათ რა.

მერმე მიიღო ადმინისტრაციამ რაიმე ზომები? დაედევნა ყაჩაღებს, რომლებიც ორი დღე ხორხის მთებზე ქეიფობდნენ, გრამაფონით სმენას იტკბობდნენ და ნადავლს ინაწილებდნენ? პასუხი ერთი აქვთ ყველას: ბაზალეთის რაიონის კომისარს ბ. ბუკუჩავას, ანანურის კომენდანტს ბ. გეგეჭკორს და მაზრის კომისარს ბ. სარჯველაძესაც, რა ვქნათ, რა უნდა გავაწყოთ, მილიცია აღარა გვყავს, რადგან ერობა ჯამაგირებს ვერ იძლევა და მილიცია გარბისო. მაგრამ პირდაპირ ვიტყვით, ბევრს ბოროტ-მოქმედებას ადგილი არ ექნებოდა, რომ ერობა მოქმედებდეს, და ადმინისტრაცია თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდეს, უზრუნველად არ ისხდნენ და არ გაიძახოდნენ: რა გაეწყობა, რა ვქნათო.

რაიონის კომისარს ს. ბუკუჩავას და ჟინვალის საზოგადოების კომისარს ხუცურალს თავი არ შეუწუხებიათ და თვალივში მომხდარ უბედურებაზე ოქმიც არ შეუდგენიათ და პირადაც ჯერ არ უნახავთ. ამაზე შორს ვერ წავა ადმინისტრაციის უმოქმედობა.

ყმჩალობა, საშინელი სენია, მაგრამ უარესი სენია ადმინისტრაციისა და ერობის უმოქმედობა, რაც ხელს უწყობენ ქვეყანაში ყოველგვარ ანარქიას.

ცენტრალური მთავრობის მოვალეობაა, ყაჩაღებთან ბრძოლა ადგილობრივ ადმინისტრაციის უმოქმედობასთან ბრძოლით დაიწყოს ეს ერთი. მეორე: უნდა განახლდეს მუდმივი სადარაჯო პოსტები ყველა იმ პუნქტებში, სადაც წინადაც რევოლიუციამდე არსებობდა. (სამხედრო გზებზე. ზეგნა, კორა, ჟინვალი, თვალივი, ბარისახო და სხვა.) მესამე: ეს საქმე უნდა მოხდეს საჩქარად, რადგანაც ავაზაკთა ბრბოებმა უფრო მეტი ამხანაგები არ შეიძინონ.

დუშეთის მაზრის სამწუხარო მოვლენებს მთავრობამ საჩქაროთ ყურადღება უნდა მიაქციოს, თორემ ბოლოს გვიანღა იქნება.

ფშაველა.

# ბიბლიოგრაფია

„ციცინათელა", ლექსები გიგო ხეჩუაშვილისა, 1919 წ. ფასი 6 მან.

მიუხედავათ იმისა, რომ ბ. ხეჩუაშვილს ლექსების წერა თითქმის ოცი წლის წინათ დაუწყია, ის დღემდის ვერ გამხდარა ცნობილ პოეტად, ის ჯერ კიდევ დაჩრდილულია და საეჭვოა, რომ ამ ბედს თავი დააღწიოს. სწორედ ამ გარემოებამ დაგვაინტერესა და ვსთქვით—ეგის უბრალო, სახალხო პოეტთან გვაქვს საქმე და ხეჩუაშვილიც ამიტომ ვერ ამოუდგა გვერდით ოფიციალურ პოეტებს მეთქი. მაშინვე მომაგონდა იოსებ დავითაშვილის ბედიც. ერთის მხრივ ჩემი მოლოდინი გამართლდა, მეორეს მხრივ კი არა.

ხეჩუაშვილი მართლაც დაბალი წრიდანაა გამოსული, ის უბრალო ასოთ-ამწყობია და მთელი თავისი სიცოცხლე მუშებში გაუტარებია. ამ გარემოებას მისი შემოქმედებისთვის ერთგვარი დაღიც დაუსვამს: ის ერთგულად აგვიწერს მუშის მდგომარეობას და აგრეთვე გლეხისას. როგორც მუშაში, რომელსაც ისტორიამ არგუნა მომავალი ცხოვრების წინამძღოლა, მასში სცემს საზოგადოებრივი ინსტიქტი: ხეჩუაშვილი თავის ლექსებში სულ საზოგადოების ინტერესებზე ლაპარაკობს, საკუთარი პიროვნება კი არ ახსოვს.

„ფიქრმა შემიპყრა ძლიერმა
მივყე უძლურსა წერასა
ვეღარ შეუძლო თვალებმა
უკულმა ქვეყნის ცქერასაო,—ამბობს იგი.

მას სტანჯავს უსამართლობა და კბილებს ილესავს იმათ წინაამდეგ „ვინც ცდილობს სუსტის წყენასა".

საზოგადოებრივ ინსტიქტთან ერთად მასში არის მეორე დადებითი გრძნობაც—იმედიანობა და სოციალური ოპტიმიზმი, რაც ასე ახასიათებს პროლეტარის მსოფლმხედველობას. ხეჩუაშვილს სწამს, „რომ გაივლის ბნელი ხანა,

ჩაგრულთ ღმერთი გაიღვიძებს
და უქმ ჩარჩებს ეს ქვეყანა
თავის ცოდვებს დაუმძიმებს.

საზოგადოთ ჩვენი მოლექსე გამსჭვალულია „კარგის აზრებით", ბოროტს ებრძვის, ყველასათვის კარგი სურს ამ „კარგი სურვილის" ბრალია ალბად, რომ ამბობს:

„ვურჩევ ქალნი დათხოვდენ,
ვაჟთ შეირთონ ცოლებიო" და სხ.

ეს არის ასე ვსთქვათ იდეური შინაარსი ხეჩუაშვილის ლექსებისა. ასეთსავე კითხვებს ეხებოდა ბევრი „ოფიციალური" პოეტიც, ამიტომ ჩვენთვის საინტერესო იყო გვენახა, თუ რაგვარად ეხებოდა ამ დიდ კითხვებს ნამდვილი მუშა, დაბალ წრიდან გამოსული მელექსე. ამ მხრივ ჩვენი იმედი არ გამართლდა: ხეჩუაშვილი ვერ იჩენს ორიგინალობას,—მისი გრძნობები შაბლონურია, გამოთქმანი მკრთალი, სურათებიც ასეთი. ჩვენი ავტორის ლექსებში ოდნავათაც კი ვერ მოგაგონებენ იოსებ დავითაშვილის მართლა უბრალო, მკვირცხლ და ხალხურის პოეზიით სავსე ზოგიერთ ადგილებს. ასეა ფორმის მხრივაც—საკუთარი, ხალხური, დავითაშვილისებური ფორმები მას არსად მოეპოვება. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ხეჩუაშვილს არ უნდა იყოს ხალხური მგოსანი და ის მუდამ წამს ოფიციალურ პოეტებს ბაძავს და მათ გვერდით დაჯდომა უნდა. დავითაშვილის შემოქმედება მუშის სადა გრძნობის ჩუხჩუხია, ხეჩუაშვილის კი წიგნური მუშაობა, რაც ერთი ორად უკარგავს ინტერესს მისს შემოქმედებას.

ვარლამ ხუროძე.

# განცხადებანი

ალექსანდრე დარისპანის ძე გამცემლიძე (შორაპნის მაზ.) ჩამოვიდა სტამბულიდან, ჯანმრთელათ და კარგად არის, მალე ბრუნდება ისევ სტამბოლში. სტამბოლში მყოფნი ქართველი ტყვეები მოკითხვას უთვლიან თავთავიანთ ნათესავთ და ნაცნობთ.

---

11 ივლისს თფ. სადგურში დავკარგე ტყავის საფულე, ფულათ 1050 მ., ვერცხლის ფული 2 მანეთის, ლატარიის ბილეთი 100 მ. ოქროს ბეჭედი, მილიციის უფროსის მიერ მოცემული მოწმობა, შაქრის ბარათი, მოწმობა მომარაგეის კომიტეტის მოცემული, იარაღის ტარების ნებართვა, და სხვა საბუთების ქაღალდები. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი ადრესით: მომარაგების კომიტეტი (ელისაბედის ქ. № 133) ისააკ კ. მიქაბაძეს.

---

11 მკათათვეს კოჯორის შარაზე დავკარგე ხკრიპკა მპოვნელს ან პირს ვისაც შეუძლიან მაჩვენოს მპოვნელი ვთხოვ მაუწყოს შემდეგი მისამართით: პეტრე [illegible] ქუჩა № 11—[illegible] მამშოვის ბინა. მპოვნელი მიიღებს ჯილდოს.

---

9 ივლისს დავკარგე სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მიერ კახ. რკ. გ. რაიონული შტაბის სახელზე მოცემული ტრამვაის წიგნაკი № სანოვაგის მისაღები მოთხოვნილებები (Требованія) №№ 128, 129, 130, დღიდან ამ განცხადებისა ხსენებული დოკუმენტები ითვლება გაუქმებულათ. მპოვნელს ვსთხოვ გვაცნობოს სადგ. ნავთლუღში კახ. რკ. გ. რაიონ. შტაბში ტელ. საველე № 43.

გვარდიელი ა. გეთიაშვილი.

---

საექიმო კაბინეტი
ექიმ ქ. თ. ტუღუშლაშვილის

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

---

ექიმი ქალი რ. ჵ. ზიშლო-საბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჟისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

---

ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

---

ექიმი მ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეზხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

---

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

---

ქ. ქუთაისში დავით ქებაძის სავაჭროში

# იყიდება ბოზბირდი

მსურველებს შეუძლიათ ხელმისაწდომ ფასებში შეიძინონ. იქვე იყიდება ბორჯომის წყალი ყუთობით 260 მანეთი, ბოთლობით თითო ხუთი მანეთი. (3—3)

# საკანდიდატო სია № 3

საქართველოს სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის სომეხთა სექციისა საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოში.

1) დანდუროვი სარქის.
2) პანიანცი კონსტანტინე.
3) მიკირტუმიანი ბაგრატ.
4) ვარდოიანი გევორქ.
5) ხითარიანი ალექსანდრე.
6) ვარდოიანცი მკრტიჩ.
7) პალიანი მკრტიჩ.
8) კაიტანჯიანცი სტეფანე.
9) ტერ-პარსეგოვა ელეონორა.
10) ერზინკანიანი აკოფ.
11) ალიხანიანი ვარდან.
12) ვანციანი ლევონ.
13) პორსუგიანი რიფსიმე.
14) გლახოიანი სარქის.
15) დავითიანი ოვანეს.
16) ნიკოგოსიანი ამირანი.
17) მინასარიანი პეტროს.
18) ნიკოგოსიანი ტიკო.
19) გალუსტიანი გევორქ.
20) აუშტროვი რუბენ.
21) ეგიაზარიანი ალექსანდრე.
22) მურმანიანი დავითი.
23) შახნაზარიანი ნიკოგოს.
24) ოსკანიანი არუთიუნ (ოვსეფ).
25) შიმშირიანი ლევონ.
26) ოვანესიანი გეორქ.
27) ლორის-მელიქიანი ევა.
28) არუტიუნიანი მოვსეს.
29) არზუმანიანი გევორქ.
30) ეგიაზარიანი ვარდან.
31) არშაკუნი სიმონ.
32) ალექსანიანი ლევონ.
33) ამბარცუმიან სარქის.
34) ზახარიანი ნატალია.
35) ულიხანიანი ალექსანდრე.
36) ისრაელიანი სტეფანე.
37) ანდრიანიანი ეგორ.
38) იტრიანი ნიკოლოზ.
39) აკოპიანი გრიგოლ.
40) გაბრიელიანი ალექსანდრე.

ՎՐԱՍՏԱՆԻ ՍՈՑ.-ԴԵՄ. ԲԱՆ. ԿՈՒՍԱ. ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍԵԿ. ԹԵԿՆԱԾՈՒՆԵՐԻ Ց

# ՑՈՒՑԱԿ № 3

Վրաստանի Հայոց Ազգային Խորհրդի ընտրութիւն. Համար (յուլիս 1919 թ.)

1. Դանդուրեան Սարգիս
2. Փանեան Կոնստանդին
3. Մկրտումեան Բագրատ
4. Վարդոյեան Գէորգ
5. Խիթարեան Աղէքսանդր
6. Վարդոյեան Մկրտիչ
7. Պալեան Մկրտիչ
8. Ղայթանջեան Ստեփան
9. Տէր-Բարսեղեան Էլէօնորա
10. Երզնկանեան Յակոբ
11. Ալիխանեան Վարդան
12. Վանցեան Լեւոն
13. Փորսուղեան Հռիփսիմէ (Հայկանուշ)
14. Գլախոյեան Սարգիս
15. Դաւթեան Յովհաննէս
16. Նիկողոսեան Ամիրան
17. Մինասարեան Պետրոս
18. Նիկողոսեան Տիկօ
19. Գալստեան Գէորգ
20. Աուշտրեան Ռուբէն
21. Եղիազարեան Ալէքսանդր
22. Մուրմանեան Դաւիթ
23. Շահնազարեան Նիկողայոս
24. Ոսկանեան Յարութիւն (Յովսէփ)
25. Շիմշիրեան Լեւոն
26. Յովհաննիսեան Գէորգ
27. Լորիս-Մելիքեան Եւա
28. Յարութիւնեան Մովսէս
29. Արզումանեան Գէորգ
30. Եղիազարեան Վարդան
31. Արշակունի Սիմէոն
32. Ալէքսանեան Լեւոն
33. Համբարձումեան Սարգիս
34. Զախարեան Նատալիա
35. Ուլխանեան Ալէքսանդր
36. Իսրայէլեան Ստեփան
37. Անդրիանեան Եգոր
38. Իտրեան Նիկողայոս
39. Յակոբեան Գրիգոր
40. Գաբրիէլեան Ալէքսանդր

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.